ხელშეკრულება N08.11.03/10/106

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

თბილისი **13 დეკემბერი 2018 წელი**

ერთის მხრივ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი რაიონის გამგებლის - **ირმა ზავრადაშვილის** სახით, მეორეს მხრივ **შპს „ჯინო"** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ჯანგული ქობელაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6 სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.7 თუ ხელშეკრლებით გათვალისწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

1.8 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.9 „ფორსმაჟორი“ - ,,მხარეები“ -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია: დიდუბის რაიონში მდებარე 147-ე საჯარო სკოლის ბავშვთა ვოკალური ანსამბლ „MakQve"-სთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შესყიდვა. კერძოდ:

1. **მიქშერი თავისი კაბელით – რაოდენობით 1 (ერთი) ცალი, ღირებულებით 354 ლარი;**
2. **მიკროფონი თავისი სადგამით - რაოდენობით 1 (ერთი) ცალი, ღირებულებით 90 ლარი;**
3. **მიკროფონი - რაოდენობით 1 (ერთი) ცალი, ღირებულებით 55 ლარი.**

2.2. კლასიფიკატორის კოდი (CPV) (32300000 / 32342300 / 32342420)

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება“ **499 (ოთხაოთხმოცდაცხრამეტი) ლარი**, დღგ-ს ჩათვლით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი **მაია მაღრაძე.**

4.1. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

5. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

5.1. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 25 დეკემბრამდე.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

6.4 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.5 ანგარიშსწორება განხორციელდება 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.6 ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) გადახდის შემდეგ.

6.7 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებიდან 6.4 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებამდე მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველს ასევე შეუძლია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

6.8 **წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.**

6.9 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი **მაია მაღრაძე.**

7. გარანტია

7.1 მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეს.

7.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ამ სფეროში არსებულ სტანდარტებთან და ტექნიკურ ნორმებთან შესაბამისობაში.

7.3 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის ან ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს,

ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრას მოთხოვნიდან და საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

8.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:
ა)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.4. ამ მუხლში დასახელებული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო თანხის გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით;

8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.3. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვლებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკებების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

12.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო სამი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
დიდუბის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 202171167
მის. აკ. ბელიაშვილის ქ. N1
სახელმიწფო ხაზინა:
ა.ა. GE24NB0330100200165022
TRESGE22

ირმა ზავრადაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ჯინო“
ს/კ – 404873776
წარმომადგენილი ჯანგული ქობელაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. N8
ტელეფონი: +995599543842
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№ GE07BG0000000272340600
სს „საქართველოს ბანკი'', კოდი: BAGAGE22

ჯანგული ქობელაშვილი

წერილი სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №08.11.03/10/106 13.12.2018 წელი)
ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ

ქ. თბილისი **13 დეკემბერი 2018 წელი**

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული N08.11.03/10/106 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ხელშეკრულების საგანი: **ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში მდებარე 147-ე საჯარო სკოლის ბავშვთა ვოკალური ანსამბლ „MakQve"-სთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი **ირმა ზავრადაშვილი**

კულტურის, განათლების, სპორტისა და
ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი **მაია მაღრაძე**